მართვის ელექტრონული სისტემა „ნექსუსი“

აკადემიური პროცესების მართვის ელექტრონულ სისტემა „ნექსუსში“ შესასვლელად საჭიროა სახელი და პაროლი. სახელი არის თქვენი თერთმეტნიშნა პირადი ნომერი. მაგ: 12345678910, ხოლო პაროლი - რასაც პროგრამის ადმინისტრატორი მოგანიჭებთ. ავტორიზაციის გავლის შემდეგ (როდესაც აიღებთ პაროლს), უკვე შეგეძლებათ თქვენს გვერდზე შესვლა.

პროგრამა „ნექსუსი“-ში შესასვლელად :

1. ვხსნით ინტერნეტ ბრაუზერს: , , შევდივართ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: www.gruni.edu.ge
2. ვირჩევთ ღილაკს, მარჯვნივ ქვედა მხარეს nexus profesors.



3. გაიხსნება ავტორიზაციის ფანჯარა, სადაც უნდა ჩაწეროთ პირადი ნომერი, პაროლი და დამცავი კოდი.



4. პროგრამაში შესვლისას გამოჩნდება ლექტორის ინდივიდუალური გვერდი. რომელიც შედგება

სხვადასხვა მენიუსაგან.

5. განვიხილოთ მენიუს ძირითადი ნაწილი - **ჩემი დისციპლინები.**

აქ ჩამოთვლილია იმ დისციპლინის/დისციპლინების დასახელება და ჯგუფი/ჯგუფები, რომელსაც ასწავლით



მოცემულ სემესტრში.
თითოეული დისციპლინის გასწვრივ განლაგებულია ღილაკები, რომელთაც სხვადასხვა ფუნქცია აქვთ. თითოეულზე მაუსის მიტანისას გამოჩნდება მისი ფუნქციის შესაბამისი წარწერა:

- ამ ღილაკზე დაკლიკებით შესაძლებელი იქნება **შეფასების კოეფიციენტების** გაწერა. ამისთვის, ღილაკ

დაკლიკებით, ვხსნით ფანჯარას, სადაც ვირჩევთ შეფასების ტიპს. ხუთკვირეულის ფარგლებში, ვირჩევთ შესაბამის კვირას და ჩავუწერთ პროცენტს. შემდეგ ვაკლიკებთ ღილაკს -



კოეფიცინტების გაწერისას, მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ სემესტრული პროცენტი 100%- ზე მეტი ან ნაკლები არ იყოს. ამასთანავე, გაითვალისწინეთ, რომ შეფასების ტიპებიდან აუცილებელია ერთ-ერთი იყოს - გამოცდა.

- **შეფასების უწყისი.** ამ მოდულშიმოცემულიათქვენს მიერ გაწერილი შეფასების კოეფიციენტი. ამ ღილაკზე დაკლიკებით იხსნება ფანჯარა, სადაც ვუთითებთ თარიღს.



უწყისი აქტიურია მითითებული თარიღიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადაში, სტუდენტთა შეფასებების შეტანის შემდეგ, უწყისის ბოლოში, ვაკლიკებთ ღილაკზე „შენახვა“, რის შემდეგაც უწყისი დაიხურება და ვერ შეძლებთ მის რედაქტირებას/ნიშნების შეყვანას. ამ პროცედურისათვის უკვე საჭირო იქნება დეკანის სახელზე განცხადების დაწერა და ნებართვის მიღება.



- **დამატებითი უწყისი.** დამატებითი უწყისი შეიქმნება დეკანატის წერილობითი ნებართვით. უწყისში ნიშნების შეტანა ხდება ზემოთ აღნიშნული პროცედურის მიხედვით.

- **სილაბუსი.** ამ მოდულში თქვენ შეგიძლიათ ატვირთოთ მზა სილაბუსი ან შეავსოთ კომპონენტების მიხედვით, რაც გაგიადვილებთ შეფასების კოეფიციენტების გაწერას, ვინაიდან შეფასების კოეფიციენტების მოდულში „სილაბუსის მიხედვით“ ღილაკზე დაკლიკებით ავტომატურად გაიწერება კოეფიციენტები. *(შენიშვნა, ამ ეტაპზე ეს ფუნქცია გათიშულია)*



- სასწავლო მასალა. + დამატება ღილაკ საშუალებით ვქმნით ახალ ფაილს, სადაც ვწერთ სასწავლო მასალის დასახელებას, რომელიც აუცილებლად უნდა მივუთითოთ. აღწერაში, საჭიროების შემთხვევში, ვწერთ სასწავლო მასალის აღწერას. ფაილს (word, excel, PDF) ვამაგრებთ - მიმაგრებული ფაილი: ფაილი 1 და ფაილი 2-ის საშუალებით რომლის ზომაც არ უნდა აღემატებოდეს 10 მბ-ს. ასევე შესაძლებელია სურათების (JPEG) მიბმა (მიმაგრებული სურათებით). შემდეგ ვაჭერთ 🖫 შენახვა ღილაკს და ვინახავთ მასალას. მასალა გამოუჩნდება სტუდენტებს მას შემდეგ, რაც დასახელების გასწვრივ X ღილაკს გავაუქმებთ და √ ღილაკს მოვნიშნავთ.

- დავალება. როგორც სასწავლო მასალას, ასევე დავალებასაც ვაგზავნით ანალოგიურად. + დამატება ღილაკისა და 🖫 შენახვა ღილაკის საშუალებით.

- ღილაკზე „სტუდენტები“ დაკლიკებით ჩამოიშლება სტუდენტების სია, სადაც მითითებულია ინფორმაცია კონკრეტული სტუდენტის სკოლის, აკადემიური პროგრამის, საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ.

- ამ ღილაკის საშუალებთ, გახსნით ფორუმის ფანჯარას, რომლის მეშვეობით გავმართავთ დისკუსიას სტუდენტებთან. თემას გახსნა შეუძლია მხოლოდ პედაგოგს.

- ღილაკის მეშვეობით შეძლებთ შესაბამისი ჯგუფის ჟურნალის ამობეჭდვას.

ფორუმით სარგებლობის ინსტრუქცია

აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „ნექსუსი“-ში ავტორიზაციის გავლის შემდეგ, „ჩემი დისციპლინები“-ს ბლოკში მოიძიეთ დისციპლინა, რომელშიც დაგეგმილი გაქვთ ფორუმის გახსნა. დააკლიკებთ ფორუმის ღილაკს. (იხ.სურ. №1)

სურათი №1



შემდეგ დააკლიკებთ ღილაკზე:

„ + დამატება“. გაიხსნება ფანჯარა, სადაც ველში - „ფორუმის თემა“ (იხ.სურ. №2, პირველი მაჩვენებელი) - ჩაწერთ თემის დასახელებას.
„აღწერის“ ველში (იხ.სურ. №2, მეორე მაჩვენებელი) განმარტავთ მიზანს, აღწერთ დისკუსიის თემას და სხვა.

სურათი №2



ღილაკ Youtube-ს (იხ.სურ. №2, მესამე მაჩვენებელი) მეშვეობით შეძლებთ ვიდეო-რგოლის ატვირთვას. ამისთვის, www.youtube.com-ზე, კონკრეტულ ბმულში, მონიშნეთ და დააკოპირეთ ვიდეოს უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი. (იხ. სურ. №3)



დაკოპირებული კოდი ჩასვით „ფორუმის“ ფანჯარაში გამოტანილი კოდის ადგილზე (იხ. სურ. №4) -

{youtube}cM8m_Nx-7Ig{/youtube} და შეინახეთ.



შენახვის შემდეგ, ინფორმაცია აისახება დისციპლინაზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა გვერდზე. სტუდენტი გაეცნობა ინფორმაციას და ჩაერთვება დისკუსიაში.

ფორუმში მონაწილეთა შეტყობინებების სანახავად, საჭიროებისამებრ, გამოიყენეთ ვებ-გვერდის განახლების ღილაკი - **F 5**